

სავლე წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტი

გიგლია პოსტეოდაკნული პერსპექტივიდან

შემდგენელი თამარ ცოფურაშვილი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
ILIA STATE UNIVERSITY
თბილისი – 2013 წელი

სავლე წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტი

ბიბლია პოსტმოდერნული პერსპექტივიდან

შემდგენელი და მთავარი რედაქტორი თამარ ცოფურაშვილი

კომპიუტერული

უზრუნველყოფა ლელა მაჭარაშვილი

© 2012 ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ISBN 978-9941-18-151-1

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

სარჩევი

თამარ ცოფურაშვილი

შესავალი: ბიბლიის ნაკითხვის ტრადიცია.....5

ჰანს ბლუმენბერგი

და ისევ: რა მოხდა სამოთხეში?..... 10
(მთარგმნ. ელენე ლადარია, რედ. თამარ ცოფურაშვილი)

უმბერტო ეკო

მხატვრულ უწყებათა წარმოშობა ედემურ ენაში 15
(მთარგმნ. ელენე ლადარია, რედ. თამარ ცოფურაშვილი)

მარსელ ჰენაფი

ბიბლიური მადლი : ყოველად უმენაჟის წყალობა33
(მთარგმნ. ელენე ლადარია, რედ. თამარ ცოფურაშვილი)

მორის ბლანშო

წინასწარმეტყველური სიტყვა39
(მთარგმნ. ლუკა ნახუცრიშვილი, რედ. თამარ ცოფურაშვილი)

რენე ყირარი

ცდუნება და ცეკვა: სალომე მარკოზის სახარებაში 50
(მთარგმნ. თამარ ცოფურაშვილი, რედ. ელენე ლადარია)

ალენ ბადიუ

პავლე მოციქული. უნივერსალიზმის დაფუძნება..... 69
(მთარგმნ. ელენე ლადარია, რედ. თამარ ცოფურაშვილი)

როლან ბარტი

თხრობის სტრუქტურული ანალიზი: სამე მოციქულთა 10-11..... 108
(მთარგმნ. ჯულიეტა პაკაცოშვილი, რედ. ელენე ლადარია)

ჟან-ლიუკ ნანსი

NOLI ME TANGERE წარკვევი სხეულის აღმეგების შესახებ..... 139
(მთარგმნ. ლუკა ნახუცრიშვილი, რედ. თამარ ცოფურაშვილი)

იულია კრისტევა

ბიბლიის ნაკითხვა..... 147
(მთარგმნ. ზვიად ზალიკიანი, რედ. ლუკა ნახუცრიშვილი)

ჟაკ ლაკანი

შესავალი მამის სახელმებისათვის 161
(მთარგმნ. დავით კახაბერი, რედ. ლუკა ნახუცრიშვილი)

ჟაკ დერიდა

MYSTERIUM TREMENDUM. შემზარავი საიდუმლო, რომელიც ძნელას გვგვრის.....185
(მთარგმნ. თამარ ქეჭურია, რედ. ლუკა ნახუცრიშვილი)

ემანუელ ლევინასი

სიმონ ვილი ბიბლიის წინააღმდეგ 216
(მთარგმნ. ლუკა ნახუცრიშვილი, რედ. თამარ ცოფურაშვილი)

თამარ ცოფურაშვილი

შესავალი: ბიბლიის წაკითხვის ტრადიცია

როგორ უნდა წავიკითხოთ ოცდამეერთე საუკუნეში ბიბლია? „ისე, როგორც ჩვენ შეიძლება ვკითხოვდეთ მარქსის „კაპიტალს“ ან ლოტრეამონის „მალდორორის სიმღერას“? ეს ის კითხვაა, რომელიც იულია კრისტევას დარად¹ შეიძლება ბევრ თანამედროვე ადამიანს გაუჩნდეს. კრისტევას მიხედვით, როგორი უტრირებულიც არ უნდა ჩანდეს ასეთი მიდგომა, რელიგიური ტექსტის ან ფაქტის ნებისმიერი ინტერპრეტაცია არსობრივად თავის თავში სწორედ იმის დაშვებას გულისხმობს, რომ ის შეიძლება ანალიზის ობიექტი გახდეს მაშინაც კი, თუ დაწინამძღვრებულია, რომ იგი ფარავს რალაცას, რაც არ შეიძლება იქნას გაანალიზებული.²

საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა წავიკითხოთ ბიბლია და გავიგოთ იგი, შუა საუკუნეების მორწმუნე თეოლოგებისთვის არსობრივად აქტუალურია. სწორედ ამის საფუძველზე ყალიბდება თეოლოგიური დისციპლინის რანგში აყვანილი ბიბლიის ტექსტის ეგზეგეზა, რაც წარმოადგენდა რა სქოლასტიკოსთა ნაშრომების ერთ-ერთ ძირითად ამოცანას, თავის თავში სწორედ ბიბლიური ტექსტის ინტერპრეტაციასა და განმარტებას გულისხმობდა. ამ მხრივ აღსანიშნავია ჯერ კიდევ ადრეული სქოლასტიკოსთა განვითარებული ბიბლიური ტექსტის ეგზეგეზის ერთგვარი აქსიომატურ-დედუქციური ხასიათი, რომლის განმსაზღვრელიც გახდა ბოეთიუსის მიერ არისტოტელეზე დაყრდნობით დაფუძნებული და შემდგომ ე.წ. შარტრის სკოლაში 11-12-ე საუკუნეებში განვითარებული აქსიომატური მეთოდი. მეთოდოლოგიურად იგი ევკლიდესეული აქსიომატიკის მსგავსია.

ევკლიდე მეცნიერული გამონათქვამების ფორმებს შორის განასხვავებდა ამოცანებს (*problemata*) და მოძღვრების გადმომცემ დებულეზებს - თეორიებს (*theoremata*). ტექსტში *De Hebdomadibus* ბოეთიუსი თეოლოგიური პრობლემის გადასაჭრელად მიმართავს მეთოდს, რომელიც მათემატიკაში ევკლიდედანი მოყოლებული იყო დამკვიდრებული³ და ამით თეოლოგიური საკითხების წაკითხვისა და ინტერპრეტაციის

1 იხ. ი. კრისტევა, „ბიბლიის წაკითხვა“ აქვე, გვ. 147-160

2 შდრ. ი. კრისტევა, „ბიბლიის წაკითხვა“ აქვე, გვ. 149

3 შდრ. Boethius, *De Hebdomadibus*, 14-17 (ed. Stewart-Rand, 38-40): „Ut igitur in mathematica fieri solet ceterisque etiam disciplinis, praeposui terminos regulasque, quibus cuncta, quae sequuntur, efficiam.“ თარგმანი: „და აქედან გამომდინარე, როგორც ჩვეულებრივ აკეთებენ მათემატიკაში და სხვა დისციპლინებში, გთავაზობ ცნებებს და წესებს, რომლებსაც შემდგომ ჩამოვყალიბებ.“

მეთოდოლოგიას უდებს სათავეს ქრისტიანულ ტრადიციაში. ბოეთიუსი წამოაყენებს უმაღლეს, პირველად დებულებებს, რომლებიც სხვებისგან არ გამოიყვანება. მათ კლასიფიცირებას ის ახდენს ტერმინებად (*termini*), წესებად (*regulae*), ან კი სულისთვის საერთო შთაბეჭდილებებად (*commune animi conceptiones*),⁴ რათა შემდეგ გადაჭრას ცალკეული თეოლოგიური პრობლემები და საკვლევ კითხვაზე პასუხი უმაღლესი, აქსიომატური დებულებებიდან გამოყვანის გზით მიიღოს.

ეგზეგეზისას აქსიომატური მეთოდის გამოყენება მეთორმეტე საუკუნის სქოლასტიკაში ცენტრალურ ადგილს იჭერს, ვინაიდან იგი უშუალოდ უკავშირდება თეოლოგიის მეცნიერულ აგებულებას. თეოლოგიური პრინციპების შესახებ მოძღვრების პირველ მონახაზს ქმნის შარტრის სკოლის ერთ-ერთი წარმომადგენელი, ჟილბერტ პოტიერსელი ბოეთიუსის შესახებ თავის კომენტარებში.⁵ მას სურს, რომ ბოეთიუსისეული მეცნიერულ-თეორიული მეთოდიკით მთლიანად თეოლოგია მეცნიერებად დააფუძნოს: მათემატიკის მსგავსად იგი აქაც პირველ, უმაღლეს დებულებებს დაადგენს, საიდანაც დანარჩენები იქნება გამოყვანილი.

მაღალი სქოლასტიკისას ბიბლიური ტექსტის განმარტებისა და ინტერპრეტაციისათვის გამოყენებული მეთოდოლოგია უფრო მეტად უახლოვდება თავისი სისტემურობით ევკლიდურ აქსიომატიკას. მაგალითად თეოლოგიურ ტრაქტატებში, რომლებიც ბიბლიის ეგზეგეზას ისახავს მიზნად, ვხვდებით ევკლიდეს კვალად განსხვავებას მეცნიერული არგუმენტაციის სამ წინადადებათა ჯგუფს შორის - დეფინიციებს, პოსტულატებს და აქსიომებს.

თუმცა გვიანი სქოლასტიკის დროს ჩნდება თეოლოგიური ტექსტის შექმნის სხვა სტრატეგიაც, რომელიც დეფინიციებს, პოსტულატებს და აქსიომებს შორის განსხვავებაზე კი არ არის ფოკუსირებული, არამედ წინადადების ენობრივ ფორმაზე. წინადადება კი მოიცავს დეფი-

4 ფორმულირება *commune animi conceptiones* მიღებულია არისტოტელეს გავლენით, რომელიც ტექსტში Περὶ Ἑρμηνείας I, 16a (ცნობილია ლათინურენოვანი სახელწოდებით *De Interpretatione*) ენის სამი დონის - მეტყველების, ნაწერის და ცნობიერების შინაარსის - მიმართებას განიხილავს. შდრ. თარგმანი: „ბგერები, რომლებიც ხმით წარმოიქმნება, სულში წარმოქმნილი წარმოდგენების ნიშნებია, ხოლო ანბანი კი თავის მხრივ ბგერების ნიშანია. და როგორც ყველას ერთი და იგივე არ არის. მაგრამ ის, რაც ორივეს მიერ [=ბგერები და ანბანი – თ. ც.] უპირველესად აღინიშნება, არის უმარტივესი სულში არსებული წარმოდგენები, რომლებიც ყველა ადამიანისთვის საერთოა, და ასევე ესენი არის საგნები, რომელთა ანარეკლიცაა ჩვენს სულში არსებული წარმოდგენები“ *De Interpretatione* I, 16a, in: *Aristotelis Opera*, vol. 1, ed. O. Gigon, Berlin 1960.

5 შარტრის სკოლის და მისი წარმომადგენლების შესახებ იხ. Edouard Jeuneau, *Rethinking The School of Chartres*, Toronto 2009.

ნიციის, პოსტულატისა და აქსიომის ასპექტებს იმგვარად, რომ მასში ზოგადი ტერმინებია (*termini generalis*) მოცემული, როგორც მეცნიერული დისკურსის ნაწილები. ამ ტიპის აქსიომატიკას იყენებს მაისტერ ეკჰარტი თავის მთავარ ნაშრომში *Opus tripartitum* ბიბლიური ტექსტის განსამარტავად.⁶

გვიანი სქოლასტიკისას მუშავდება ბიბლიური ტექსტის განმარტების ორი განსხვავებული სახე: პირველი გულისხმობს ბიბლიური ტექსტის სიტყვის განსამარტავად ციტატის გამოყენებას თავად ბიბლიიდან, ანუ ბიბლიის ბიბლიით განმარტებას; მეორე მეთოდოლოგიური მიდგომის თანახმად კი, ბიბლიური ტექსტის სიტყვას ვრცელი თეორიული, ფილოსოფიურ-თეოლოგიური განმარტება ეთმობა, ისე რომ თავად ბიბლიური სიტყვა უკანა პლანზე გადაინაცვლებს.⁷

ბიბლიური ეგზეგეზის ქრისტიანული ტრადიციის ჩამოყალიბებაში ასევე აღსანიშნავია *Liber de causis*, „მიზეზთა წიგნი“, რომელიც პროკლეს *Elementatio theologica*-ს ლათინურენოვან შემცირებულ თარგმანს წარმოადგენდა და ასევე დიდი მნიშვნელობა ქონდა ბიბლიის წაკითხვისა და ინტერპრეტაციის შუა საუკუნეებრივი მეთოდოლოგიის გამომუშავებაში.

მიუხედავად თავისი თეოლოგიური ამოცანისა, ბიბლიური ტექსტის ეგზეგეზა იმთავითვე ფილოსოფიურ წამოწყებას წარმოადგენდა სქოლასტიკოსი თეოლოგისათვის, ვინაიდან იგი დაფუძნებული იყო მეტაფიზიკაზე.⁸ ეს კი გულისხმობდა, რომ ბიბლიურ ჭეშმარიტებად მიჩნეულთან ფილოსოფიური არგუმენტაციით მიღწეულ თანხმობაში უნდა ყოფილიყო ის, რაც ღვთაებრივის, ბუნებრივის და ზნეობრივის შესახებ (*divina, naturalia et moralia*) შეიძლებოდა მტკიცებულებით.

მაგრამ სქოლასტიკოსი ავტორებისთვის ბიბლიის ტექსტი, რა თქმა უნდა, არ არის ერთ-ერთი მრავალთა შორის, არამედ განიხილება რა ღვთის სიტყვად, იგი აღმატებულია ყველა დანარჩენ ტექსტზე. სხვა ტექსტების ლეგიტიმურობის საფუძველი სწორედ მასთან თანხმობაა. ასეთი ლეგიტიმურობის საფუძვლის მოძიების პროექტი იყო ფსევდო

6 შდრ. M. P. Schirpenbach, Wirklichkeit als Beziehung. Das strukturontologische Schema der Termini generales im Opus Tripartitum Meister Eckharts, in: Beiträge zur Geschichte der Philosophie und Theologie des Mittelalters, NF Bd. 66, Münster 2004, გვ. 119.

7 ეგზეგეზის ორივე სახეს ვხვდებით მაისტერ ეკჰარტის ძირითად ნაშრომში *Opus tripartitum*. შდრ. E. Winkler, Exegetische Methode bei Meister Eckhart, Tübingen 1965, გვ. 100. შდრ. ასევე W. Goris, Eckharts Entwurf des Opus tripartitum, კრებულში: K. Jacobi (Hrsg.), Meister Eckhart: Lebensstationen - Redesituationen, Berlin 1997, გვ. 388.

8 ამისი ნათელი გამოსატყულებაა ფორმულა „Philosophia ancilla theologiae“, „ფილოსოფია თეოლოგიის მსახურია“, რომელიც 11-ე საუკუნეში მოღვაწე იტალიელ ეპისკოპოსს პეტრე დამიანის მიეწერება.

დიონისე არეოპაგელის მიერ ჩამოყალიბებული ნეგატიური თეოლოგია, რათა ნეოპლატონიზმს ქრისტიანობის წიაღში არსებობის საფუძველი შექმნოდა. არისტოტელეს ნააზრევისთვის კი თომა აქვინელმა განახორციელა მსგავსი პროექტი *Summa theologiae*-ით, რომლითაც თავის მხრივ, არისტოტელიზმის ქრისტიანობის წიაღში ათვისება დაავიკინა. ბიბლია იყო სქოლასტიკოსისთვის ის ქვაკუთხედი, რომლისეულ ჭეშმარიტებასთან არათავსებადობაც ქმნიდა მთავარ კრიტერიუმს ტექსტის ერეტიკულად გამოცხადებისათვის.

ბიბლიის წაკითხვისა და ინტერპრეტაციის სქოლასტიკური მეთოდის საბოლოო დასასრულად შეიძლება ერთმნიშვნელოვნად ჩაითვალოს 1670 წელი, როდესაც გამოქვეყნდა სპინოზას თეოლოგიურ-პოლიტიკური ტრაქტატი (*Tractatus theologico-politicus*), რომელიც, მართალია, ოთხი წლის შემდეგ აიკრძალა, მაგრამ მის 7-ე თავში ჩამოყალიბებულმა ბიბლიის ისტორიულ-კრიტიკული ანალიზის მეთოდმა საბოლოოდ შეცვალა მკითხველის ბიბლიაზე რეცეფციის პერსპექტივა.⁹ სპინოზას მსჯელობის ამოსავალია, რომ ბიბლია დაწერილია არა სულიწმიდის, არამედ ადამიანების მიერ. აქედან გამომდინარე, ბიბლიის ტექსტის წაკითხვისას გათვალისწინებული უნდა იყოს იმ ენის ბუნება და თავისებურებანი, რომელზეცაა დაწერილი ბიბლიის ტექსტი და რომლის გამოყენებითაც მისი ავტორები მეტყველებენ. შესაბამისად, უნდა გამოვიკვლიოთ, რამდენად შეესაბამება ბიბლიაში გამოყენებული სიტყვების მნიშვნელობა იმას, რომელსაც ჩვენ მათ ყოველდღიური მოხმარებისას ვანიჭებთ. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბიბლიის ტექსტები, რომლებზეც ჩვენ ხელი მიგვიწვდება, თარგმნილია. შესაბამისად, უნდა კრიტიკულად წავიკითხოთ ისინი და დავუშვათ აზრი, რომ შესაძლოა თარგმანში დაშვებული იყოს შეცდომა. ბიბლიის თითოეული თავის წაკითხვისას უნდა გავითვალისწინოთ მისი ავტორის კულტურული გარემო, ეპოქა, რომელშიც იგი წერს, ვისთვის წერს და რა ენით წერს. თითოეული წიგნის შემთხვევაში უნდა გავითვალისწინოთ, თუ ვის ხელში მოხვდა ის პირველად, არსებობდა თუ არა მისი განსხვავებული ვერსიები, ვისი რჩევით იქნა მოხვედრილი ეს ტექსტი ბიბლიაში და რომ ყველა წიგნი, რომელიც ახლა საყოველთაოდ აღიარებულია სიწმიდედ, ოდესღაც ერთ მთლიანობად იქნა გაერთიანებული.¹⁰

შეიძლება ითქვას, რომ სპინოზას მიერ შემუშავებული ამ ისტორიულ-კრიტიკული ანალიზის მეთოდის ლოგიკური შედეგია ის ტექს-

9 იხ. Benedict de Spinoza, *Tractatus theologico-politicus*, *Tractatus politicus*, translated from the Latin with the introduction by R. H. M. Elwes, London/New York 1891, გვ. 98-119.

10 შდრ. Benedict de Spinoza, *Tractatus theologico-politicus*, *Tractatus politicus*, translated from the Latin with the introduction by R. H. M. Elwes, London/New York 1891, გვ. 101-103.

ტები, რომლებიც წინამდებარე კრებულშია მოცემული და რომლებიც ბიბლიური პარადიგმების ინტერპრეტაციებით მათ ახალ კონოტაციებს წარმოაჩენს, ახლებურად გადაგვააზრებინებს მათ და გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ მთლიანობაში ბიბლიურ ისტორიებს თანამედროვეობის ორგანულ ნაწილად წარმოგვიდგენს. ისტორიებს, რომელთა ინტერპრეტაციითა და ანალიზითაც კაცობრიობა თავისი ინტელექტუალური აქტივობის მანძილზე დიდწილად იყო დაკავებული.

წინამდებარე შესავალი იყო მცდელობა ამ ისტორიაში წარმოქმნილი ტრადიციის მიმოხილვისა. რაც შეეხება ბიბლიის წაკითხვის თანამედროვე პერსპექტივას, მასთან გაცნობა მკითხველს ამ კრებულის სახით ელის.

ჰანს ბლუმენბერგი და ისევ: რა მოხდა სამოთხეში?*

თარგმნა ელენე ლადარიამ
რედაქტორი თამარ ცოფურაშვილი

ჰანს ბლუმენბერგის (1920-1996) 1988 წელს გამოცემული წიგნი „მათეს ვნებანი“, რომელიც იოჰან სებასტიან ბახის ამავე სახელწოდების ორატორიას ეხება, განხილულ ასპექტთა სიმრავლით გამორჩეულ ანალიზს მოიცავს და ამ თავისთავად უკვე მრავალშრიანი ობიექტის ირგვლივ ფილოსოფიური, ისტორიული და თეოლოგიური კონტექსტების სინთეზურ აქტუალიზაციას ისახავს მიზნად. წარმოდგენილი ტექსტი მცირედი ნაწყვეტია წიგნში ბიბლიის ეპიზოდთა განხილვისათვის დათმობილი თავების სერიიდან და პირველყოფილი ცოდვის ელემენტის გადააზრებისა და განახლების მცდელობას წარმოადგენს. მისთვის ჩვეულ ერუდიციას ავტორი არც აქ ლალატობს და საკუთარ რეფლექსიას წარმატებულად დააშენებს, ამჯერად, ფრანც კაფკას მცირე შენიშვნებს. მას შემდეგ რაც ბლუმენბერგი ედემის ბაღისა და კაენის და აბელის ეპიზოდთა თხრობაში აქცენტებს გადაათამაშებს და ცოდვათდაცემასა და ადამიანის სასრულობას შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირს თავდაყირა დააყენებს, რითაც თავს ტრადიციული ინტერპრეტაციის მიმართ კრიტიკულ პოზიციაში ჩაიყენებს, მას შესაძლებლობა ეხსნება ცოდვათდაცემის ეს მომენტი თანამედროვეობაში ტექნოლოგიური წინსვლით გამოწვეულ ახალ კითხვებთან და გამოწვევებთან შეხებაში მოიყვანოს. კაფკას მიერ იდენტიფიცირებული და ბლუმენბერგის მიერ განვითარებული ლოგიკური ხაზის მიხედვით, ადამიანი ცოდვათდაცემის შედეგად კი არ იქცევა სასრულ არსებად, და შესაბამისად, მორალურ იმპერატივთა ობიექტადაც, არამედ, მისგან გარეგნული მიზეზებით გამოწვეული სასრულობაა ის, რაც მას აუცილებლობით აგდებს ცოდვაში. სწორედ აქ, ადამიანის ბუნებაზე სუბსტანციალისტური თვალსაზრისის უკუგდებაში წარმოჩინდება ავტორის ამ ინტერპრეტაციის ექსპლიკაციური ნაყოფიერება აქტუალური საკითხების მიმართ: თუკი ტექნოლოგიათა განვითარება სიცოცხლის წარმოების თუ მისი განგრძობის შეუზღუდავ ჰორიზონტებს გადაშლის ჩვენს წინაშე, მაშინ ადამიანის სასრულობა შეირყევა, ეს ანთროპოლოგიური გადანაცვლება კი ახალ, ჯერარნახულ მორალს ჩაუყრის საფუძველს. ბლუმენბერგი სკეპტიკურ დამოკიდებულებას ამჟღავნებს ამგვარი ცვლილებების მიმართ, ვინაიდან კაენისა და აბელის მითში ნაჩვენები სასრული ადამიანის მკვლევლობისკენ მიდრეკილება მისთვის ტექნიციისტუ-

* ის. ორიგინალი: Hans Blumenberg, „Immer wieder: Was geschah im Paradies?“, Matthäuspasion, Frankfurt am Main, 1988.